



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№37 (9.602)

28 სექტემბერი-4 ოქტომბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„იპოვე შენი ფიროსმანი“...



დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში პროექტი „იპოვე შენი ფიროსმანი“ დაიწყო. პროექტის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ მირზაანში გაიმართა. ფიროსმანის ეზოში სტუმრების სიმრავლე შეინიშნებოდა.

როგორც პროექტის ავტორმა ირინა პოპიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, პროექტში დედოფლისწყაროს რამდენიმე სოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვებიან. პოპიაშვილის განმარტებით, არგოშვიტის, ზემო მარხაბის და ბაგრატიონის სკოლების მოსწავლეები ფიროსმანის მსგავს ნამუშევრებს შექმნიან, რომელთაგან საუკეთესოები გამოიფინება.

„ეს გამოფენების სერიაა, რომელიც გულისხმობს ფი-

როსმანის დროს ვინ მოღვაწეობდა მათ წარმოჩენას, ასევე იქნებიან თანამედროვე მხატვრები, რომლებიც სტილისტურად აგრძელებენ ასეთ მუშაობას. არბოშვიტის, ზემო მარხაბის და გამარჯვების საჯარო სკოლებში ბავშვები დახატავენ ნამუშევრებს ისეთ სტილში, როგორც ფიროსმანი აკეთებდა. შემდეგ აქედან მხატვრები საუკეთესოებს აარჩევენ და გამოიფინება „ფიროსმანობაზე“. საინტერესო იმითაა, რომ შესაძლებელია, ნებისმიერი ჩვენი ახლობლის ნამუშევარი გამოიფინოს ფიროსმანის გვერდით,“ - გვითხრა ირინა პოპიაშვილმა.

პროექტი „იპოვე შენი ფიროსმანი“ ხორციელდება „სამხრეთ კავკასიის ხელოვნებისა და კულტურის რეგიონული პროგრამის“ ფარგლებში. პროგრამის

ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

გამოფენა „ქართული მოდერნიზმი“ ნიუ იორკში, კეისი კაპლანის გალერეაში შვეიცარიელი კურატორის დანიელ ბაუმანისა და ქართველი კოლეგების: ნანა ყიფიანის, მზია ჩიხრაძისა და თეა ტაბატაძის მიერ, 2009 წელს ორგანიზებული გამოფენის - ფანტასტიკური სამიკიტნო თბილისური ავანგარდის მასალებზე დაყრდნობით მომზადდა. პროექტის ავტორები არიან ირინა პოპიაშვილი, ნინო ასანიძე,

მარი გვახარია, გურამ კაპანაძე, მარიამ ლორია და მარიამ ნიქარიძე.

როგორც პროექტის კოორდინატორმა თამარ ჯანაშიამ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისა და ირინა პოპიაშვილის მიერ წარდგენილი პროექტი საინტერესოდ ჩაითვალა და კომისიამ საჭირო დაფინანსება გამოყო, რადგან ფიროსმანის საიუბილეო წელია და პროექტი სტუდენტების განვითარებასაც ხელს შეუწყობს.

გამოფენა: „ქართული მოდერნიზმი“ ფიროსმანის თანამედროვე ეპოქის კულტურული ცხოვრების ამსახველია და მირზაანის მუზეუმის დამფუძნებლებს საუკუნის დასაწყისის თბილისის კულტურულ კონტექსტს გააცნობს.

„ეს ჩემი პირველი სტუმრობაა მირზაანში, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი ხანია მუზეუმის მონახულება მინდოდა. მინდა გითხრა, რომ აქედან მივიღე ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი და სრულიად ალფრთოვანებული იმით, რაც ვიხილე...“

პირველ რიგში, ვნახე ფიროსმანის რამდენიმე ახალი ნახატი. და რაც მთავარია, წარმოდგინილი იყო მემოცე საუკუნის დასაწყისის სოციალური სივრცე, რომელიც წარმოდგინილი იყო არა გაბლანდულ და კლიშეებით, როგორც ჩვენ გვჩვენებდა სოლმა, არამედ სრულიად სხვაგვარად და საინტერესოდ,“ - აღნიშნავს ცნობილი ფსიქოლოგი მარინა ჩიტიშვილი.

მირზაანის მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში გამოფენილი ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გვერდით წარმოდგენილია მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისის ამსახველი ფოტოების, ამ პერიოდში საქართველოში მოღვაწე მოდერნისტებისა და ავანგარდისტების მიერ შესრულებული ნივთებისა და ავანგარდისტების, ქართველი მოდერნისტების (დავით კაკაბაძის, პეტრე ოცხელის, ირაკლი გამრეკელის, კირილე ზდანევიჩის და სხვა.) გრაფიკული ნამუშევრების ფოტო-ასლები.

ილია მარტყოფლიშვილი



სახანძრო-სამაშველო სამსახურის ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

33. 2

ხეუი ავღარაბული ქართული სული

33. 6

ე უ რ ა დ ე ბ ა !

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 27 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- საბარტლებრივი აქტუა
- აუქსიონი
- ტენდერი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ ნაიპოვებთ!

www.dedoplistskaro.ge

დეკრეტული შევებულების დღეების რაოდენობა და ანაზღაურება იზრდება

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, როგორც ანაზღაურების გარეშე, ასევე ანაზღაურებადი შევებულების დღეების რაოდენობა იზრდება. ასევე, იზრდება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შეილადა აყვანის გამო ანაზღაურებადი შევებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა.

შესაბამისი ცვლილება შედის „საქართველოს შრომის კოდექსში“, რომელიც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილეს.

პროექტის თანახმად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შევებულება იზრდება 477-დან 730 კალენდარულ დღემდე. 126 დღის ნაცვლად ანაზღაურებადი ხდება 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში 140 დღის ნაცვლად 200 დღე.

NDI - 39% მხარს გიორგი მარგველაშვილს უჭერს, 18% - დავით ბაქრაძეს

აშშ-ის ეროვნულ — დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის თანახმად, კითხვაზე - ვის ისურვებდით საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად, გამოკითხულთა 39%-მა გიორგი მარგველაშვილი დაასახელა. მეორე ადგილზე 18%-ით არის დავით ბაქრაძე, მესამეზე - ნინო ბურჯანაძე 7%—ით, შემდეგ შალვა ნათელაშვილი — 3%—ით, გიორგი თარგამაძე — 3%—ით. არ ვიცი — 16%, სხვა — 4%.

NDI-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის ლუის ნავაროს განმარტებით, სალომე ზურაბიშვილს 2% ასახელებს და კობა დავითაშვილს 1%. სხვა კანდიდატების მარჯვენაზელი 1%-ზე ნაკლებია.

გამოკითხვის თანახმად, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის მონონების მარჯვენაზელი, ნინა კვლევასთან შედარებით, 11%ით გაიზარდა და 56% შეადგინა.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილის მონონების მარჯვენაზელი უცვლელია და ისევ 69%-ს შეადგენს. დავით უსუფაშვილი გამოკითხულთა 60%-ს მოსწონს.

რეიტინგში კვლავ პირველ ადგილზეა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ილია მეორე გამოკითხულთა 94%-ს მოსწონს.

ნინო ბურჯანაძის მონონების მარჯვენაზელი 21%-დან 33%-მდე გაიზარდა.

23-დან 26%-მდე გაიზარდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მონონების მარჯვენაზელი.

NDI-ის კვლევის სავალდებულო სამუშაოები 18 აგვისტოდან 3 სექტემბრის პერიოდში ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე 3 838 ადამიანი გამოკითხა. NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA) და ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).

სოფლის მეურნეობის სამინისტრო — საწარმოები ყურძენს „დიღერების“ გარემოცვაში იბარებენ

სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ კახეთში, ზოგიერთი საწარმო ყურძენს მხოლოდ „დიღერების“ საშუალებით იბარებს, სიმართლეს არ შეესაბამება.

„თხოვნით მივმართეთ გლეხებს და ფერმერებს, რომ არ აპყენენ პროფესიონალთა და დაეყრდნონ მხოლოდ „რთველი 2013-ის“ საკოორდინაციო შტაბის მიერ დადგენილ ორგანიზაციულ მითითებებს, საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდნენ ცხელ ხაზს ტელეფონის ნომერზე 2 47 01 01 და მიიღონ ოპერატიული და სანდო ინფორმაცია“, — აღნიშნეს სამინისტროში.

მათივე მონაცემებით, 26 სექტემბრის მდგომარეობით, კახეთის რეგიონში 80 კომპანიის მიერ სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, ანგეთის, ლაგოდეხის და საგარეჯოს რაიონებში შესყიდული და გადამამუშავებულია 73 382.0 ტონა ყურძენი. აქედან, საფერავი - 25 281.8 ტონა, რქანთიელი - 45 725.9 ტონა, კახური მწვანე - 1 051.1 ტონა, სხვა ჯიშები - 1 323.2 ტონა.

ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან რთველი რაჭაშიც დაიწყება.

ბიძინა ივანიშვილი — „პოლიცია დღეს ჩვენ გვყავს თითქმის კარგი, თუ ძალიან კარგი არა“

„საოცრება მოახდინა მინისტრმა და საოცრება მოხდა პოლიციაშიც. იმ პოლიციისგან, რომელიც ტოტალურად ძალადობდა ხალხზე, მივიღეთ ძალიან მაგარი პოლიცია პოლიცია, რომელიც ძალადობდა საკუთარ ხალხზე, გამოყენებული იყო ინსტრუმენტებად, მათგან ზონდერბრიგადები ყალიბდებოდა, დღეს კულტურულად ახორციელებს თავის კანონიერ უფლებებს და ხალხის სამსახურში ჩადგა“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ექსპერტებთან შეხვედრისას.

შეხვედრაზე ექსპერტებმა პრემიერს განუცხადეს, რომ შს სამინისტროსთან დაკავშირებით კითხვები არსებობს, რაზეც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ იდეალური პოლიცია ევროპაშიც არ არსებობს.

„პოლიცია დღეს ჩვენ გვყავს თითქმის კარგი, თუ ძალიან კარგი არა. შესაბამისად, პრეტენზიები რომ გაქვთ პოლიციასთან, თუ შეადარებთ ეხლა გერმანულს ან რაღაც, იქნება სხვაობა. ისევ გახსენებთ, რეალობიდან გამოდით. საოცრება მოხდა პოლიციაშიც, პროკურატურაშიც და სასამართლოშიც თუ გნებავთ, 10 თვის განმავლობაში რაც მოხერხდა. რეალობიდან ამოდით, თქვენ გინდათ პაპზე დიდი კათოლიკეები გახდეთ და პოლიცია იყოს საუკეთესო რაც გაგიგიათ, იდეალური პოლიცია ევროპაშიც არ არსებობს. შემცირდა კრიმინალი, მიუხედავად იმისა, რომ ამას გვამადლიდნენ, რომ იძახდნენ, აი საქართველო რა უსაფრთხო ქვეყანააო და ერთ ღამეში რომ მოგვიწყეს და მიწები დაგვიმტვრიეს. გასაგებია ვინც ხელმძღვანელობდა ამ პროცესს. ნახეთ სტატისტიკა და თუ არასწორია სხვა მარჯვენა, მაგალითად, მამუკა არეშიძე როცა აცხადებს, რომ ნარკობიზნესი აფეთქდა, სად აქვს ეს ფაქტები, სად აფეთქდა და როგორ აუფეთქდა“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდები უმაღლესში შესაძლოა გამოცდების გარეშე მოხვდნენ

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან, თუ მათ საერთაშორისო ოლიმპიადებში ან სახელოვნებო-შემოქმედებით კონკურსში უმაღლესი შეფასება აქვთ მიღებული.

აღნიშნულ ცვლილებას „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს, რომლის ინიცირებაც პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე მოხდა.

კანონპროექტის მიხედვით, მთავრობის მიერ დადგინდება სასწავლო გრანტით დაფინანსების წესი, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაზღვრავს. კანონს მიეცემა უკუძალა და სასწავლებლებში სწავლის უფლება შეუნარჩუნდებათ 2013 წელს ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მონაწილე იმ პირებს, რომლებმაც ვერ გადალახეს ამა თუ იმ საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მათი განსაკუთრებული ნიჭის მიუხედავად, სწავლის უფლების გარეშე დარჩნენ.

კანონპროექტს კატეგორიულად ეწინააღმდეგება გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მიაი მიმინოშვილი. ის არ გამოიხატავს, რომ აღნიშნული ცვლილება კონკრეტულ პიროვნებაზე იყოს ფოკუსირებული. მისი თქმით, ერთიანი ეროვნული გამოცდების აწყობილი სისტემა, რომელიც 10 წლის განმავლობაში ძალიან კარგად მუშაობს, ერთი გამონაკლისის დაშვებისთანავე დაინგრევა. მიმინოშვილი მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში, გამოცდებს არავითარი აზრი აღარ ექნება.



სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსად გოგიტა ნასრაშვილი დაინიშნა



დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს.

ზეიად ჯავახიშვილმა, რომელიც პარალელურად „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელია, სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის თანამდებობა დატოვა. მიზეზად წინასაარჩევნო კამპანიის გააქტიურება სახელდება.

სამსახურის უფროსად უკვე დაინიშნა ეკონომისტი გოგიტა ნასრაშვილი, მას ძალიან უწყებაში მუშაობის გამოცდილება აქვს.

როგორც ნასრაშვილმა განუცხადა „შირაქს“ განუცხადა, ჯერ უცნობია, მოხდება თუ არა სამსახურში სხვა საკადრო ცვლილებები

სკოლაში რუსული სექტორი შენარჩუნდა

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მიხეილ ბახუტაშვილის განმარტებით, დედოფლისწყაროში რუსული სექტორის გაუქმების პრობლემა აღარ დგას. როგორც ბახუტაშვილმა განუცხადა „შირაქს“ აცნობა, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ რუსულენოვანი პირველი კლასი წელს პირველად გაიხსნა.

„მინდა, ვაუწყო დედოფლისწყაროელებს, რომ სოფელ ხორნაბუჯის სკოლის პრობლემა მთლიანად გადაჭრილია. შენარჩუნებულია მისი რუსული სექტორი და გახსნილია რუსული 1-ლი კლასი. მოსწავლეები უახლოეს პერიოდში მიიღებენ ბუკებსა და სხვა სასწავლო მასალებსაც. ესაა კლასიკური მაგალითი რაიონის გამგებლის, სოფ. ხორნაბუჯის რწმუნებულისა და რესურსცენტრის ერთობლივი ძალისხმევით“, — აღნიშნავს ბახუტაშვილი.

შეგახსენებთ, რუსული სექტორის მოსალოდნელი გაუქმების შესახებ დედოფლისწყაროელებმა პედაგოგებმა დირექტორისგან გამაფრთხილებელი წერილი მიიღეს, რის შემდეგაც აგვისტოს თვეში სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია გამართეს.

85 წლის დაკარგულ მოხუცს ეძებენ

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში მეორე კვირაა 85 წლის ნინო ჭინჭარაულს ეძებენ. „შირაქის“ ინფორმაციით დაკარგული მარტოხელა მოხუცია, რომელიც სათნოების სახლის უფასო კვებით სარგებლობდა.

დედოფლისწყაროს სათნოების სახლში განუცხადეს „შირაქს“ დაუდასტურეს, რომ მოხუცი რამდენიმე დღეა სადღიზე აღარ ცხადდება.

სოფელში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მარტოხელა მოხუცი ტყეში შეინდის საკრეფად გავიდა, რის შემდეგაც მისი კვალი იკარგება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს „შირაქს“ განუცხადეს, შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში შეტყობინება არ შესულა, თუმცა იმის გამო, რომ მოხუცი მარტოხელაა, სამმართველომ სამძებრო სამუშაოები მაინც დაიწყო.

ხორნაბუჯში 10 წლის გოგონას მანქანა დაეჯახა

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში, საჯარო სკოლიდან შინ მიმავალ 10 წლის გოგონას ავტომანქანა დაეჯახა. შემთხვევა მეგობრობის ქუჩაზე, ცენტრალურ მაგისტრალზე მოხდა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მოზარდმა მენჯის ძვლის და ხელის მოტეხილობა მიიღო. თვითმხილველების განმარტებით, გოგონა გზაზე გადარბენას ცდილობდა.

ადგილზე გამოძახებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომელმაც დამზავებული ადგილობრივ სტაციონარში მოათავსა. ამ დროისთვის გოგონა კატასტროფის მედიცინის ცენტრში გურჯაანში გადაიყვანა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განმარტავენ, საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ნაკლებად მძიმე დაზიანება. უკვე დაკითხულია მანქანის მძღოლიც, თუმცა მისი ბრალულება არ გამოკვეთილა.

დაზარალებული მოზარდი სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრია. ისინი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის დაგვიანებაზე მიაწმინდებიან.

ილია მარტყოფლიშვილი

გიორგი მარგველაშვილი დედოფლისწყაროში

„ისეთი ძვეყანა ავაშენებთ, სადაც ნებისმიერი ჩინოვნიკი ხალხის მსახური იქნება“

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ამომრჩევლებს დედოფლისწყაროში შეხვდა. მასთან ერთად მოსახლეობასთან შეხვედრას ესწრებოდნენ ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით შერვაშიძე, პარლამენტის წევრები: ალექსანდრე თამაზაშვილი, ნანა ყვინიშვილი და ზურაბ ზვიადური, ასევე მსახიობები: ზაზა კოლელოშვილი და გუგუა ბურდული. ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მოკლედ ისაუბრა ამ სფეროში არსებულ სიტუაციაზე და პრეზიდენტობის კანდიდატი დაასახალა: „ჩემთვის, პირადად, უხერხულია, ვილაპარაკო ჯანდაცვის სისტემის მიღწევებზე, მაგრამ ერთი რამე შემიძლია ვთქვა- მთავრობა გახდა თითოეულ თქვენგანზე, თითოეულ ადამიანზე ორიენტირებული და თქვენი ნება-სურვილის განმახორციელებელი, რაც არ ხდებოდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მე მჯერა, რომ მარგველაშვილი გახდება პრეზიდენტი და ის იქნება იმის გარანტი, რომ მთავრობის წარმომადგენლებს ხალხი მხოლოდ წინასაარჩევნოდ აღარ გაახსენდებათ და მოსახლეობის აზრი მხოლოდ არჩევნებზე კი არ იქნება მნიშვნელოვანი, არამედ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების მომენტში. თქვენი აზრის, თქვენი შეხედულებების გათვალისწინება მოხდება სახელმწიფოს, რეგიონის მოწყობის დროს“-ჭეშმარიტი დემოკრატიული მმართველობის პირობად სერგეენკომ სწორედ მარგველაშვილის პრეზიდენტად არჩევა დაასახელა. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით შერვაშიძემ კი დედოფლისწყაროელებს ის პერიოდი შეასახლა, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ რაიონში, სადაც პრიორიტეტული სწორედ აგრარული სექტორია, სოფლის მეურნეობის სამმართველოც კი არ ჰქონდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ სფეროში შექმნილ უამრავ პრობლემაზე. ახალმა მთავრობამ მოახერხა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება აგრარულ სექტორში, რამაც გლეხები მიწისკენ და სოფლისკენ შემოაბრუნა: „ყველა ის დიდი წუხილი, რომელიც ამ სფეროში იყო დაგროვილი, უახლოეს პერიოდში უნდა მოგვარებული იყოს და დავინიშნო მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. ეს იყო საგაზაფხულო პროგრამა, რომელმაც ყველას გაგიჩინათ იმედი, რომ დაბრუნდებით სოფელს, თქვენს მიწას... ეს არის დასაწყისი და ნაწილი იმ დიდი პროექტების, რასაც მთავრობა მომავალშიც გეგმავს. ჩვენ ვმუშაობთ უამრავი მიმართულებით, როგორცაა მემარცვლეობის, მეხილეობის და სხვა დარგების განვითარება... ასევე დაგეგმილი გვაქვს პროექტი კოოპერაციის შესახებ, რომელიც მო-

გვეცემს მთელი რიგი დარგების განვითარების საშუალებას. მუშავდება მიწის კოდექსი, სადაც დანერგულით გაინერგება ყველა ნიუანსი, მათ შორის მიწის დიფერენციაცია, რაც ბევრ თქვენგანს ალელეებს. მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა იგეგმება ვეტერინარიის კუთხით. მაგრამ ეს გეგმები არ განხორციელდება, თუ პრეზიდენტად ვერ ვიხილავთ გიორგი მარგველაშვილს“-განაცხადა დავით შერვაშიძემ.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ჩვენი რაიონის მკვიდრმა ალექსანდრე თამაზაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას ის მძიმე დღეები გაახსენა, რომელიც მათ ერთი წლის წინ გამოიარეს და კიდევ ერთხელ მოუწონდა დედოფლისწყაროელებს მხარდაჭერისკენ: „ყველა ერთად ვიბრძოდით საქართველოს გადარჩენისთვის. ეს ბრძოლა კვლავ გრძელდება და მოგიწოდებთ, ყველანი მოხვიდეთ არჩევნებზე და გააკეთოთ თქვენი არჩევანი“. სწორი არჩევანისკენ მოუწონდა დედოფლისწყაროელ ამომრჩევლებს პარლამენტარმა ნანა ყვინიშვილმაც, რომელმაც მათ ამაყი, ზვიადი ხასიათის გამო მადლობა გადაუხადა და გამორჩეული იმედით დაემშვიდობა. შემდეგ დედოფლისწყაროელების წინაშე პრეზიდენტობის კანდიდატი თავად წარსდგა და წინასაარჩევნო პლატფორმა გადაცნო მათ: „ მოგესალმებით, დედოფლისწყაროელებო, მოგესალმებით დიდი სიყვარულით, მიხარია, რომ ვხედავ ხალხს, რომელიც სულ ერთ თვეში ბოლომდე გადაიბარებს ხელისუფლებას. ბოლომდე აიღებს ქვეყნის მართვის სადავეებს ხელში, ბოლომდე ექნება იმედი და დაიწყებს სრულიად ახალი ქვეყნის შენებას. და რადგანაც თქვენ ხართ მომავალი მმართველები ამ ქვეყნის, მიწისა და გიხარობთ იმ გეგმების შესახებ, რომელსაც ვადგენდით ბიძინა ივანიშვილთან ერთად, იმ ხედვების შესახებ, რომელსაც ერთად ვგეგმავდით. რადგანაც მომავალში ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ეს ქვეყანა. და ამ გეგმის პირველი ეტაპი იყო ის, რომ ხელისუფლება უნდა ნაკვეთშია, ხელისუფლება უნდა გამოგვეგლიჯა იმ ხალხისათვის, ვისაც ჰქონდა ფულიც და უშიშროების სამსახურიც, ვისაც ჰქონდა მთელი ქსელი თითოეულ ოჯახში, რათა დაეშინებინა ოჯახის ყველა წევრი, თითოეულ ოჯახში ჰყავდა პრობაციონერი, და ამის გარდა, ეკონომიკურად იმდენად გატეხა წელში ეს ოჯახები, რომ ადამიანი მუდმივად ფიქრობდა არა იმაზე, თუ როგორ გაემშენებინა თავისი ქვეყანა, არამედ ადამიანი ფიქრობდა იმაზე, როგორ გადარჩენილიყო. და ეს ხდებოდა საკუთარ სამშობლოში... მაშინ ჩვენ ერთად დავგეგმეთ: მიუხედავად იმისა, რომ ასეობს უშიშროება, რომელიც ატერორებს მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ეკონომიკური პრობლემაა, ქართველი არასოდეს შემდრკალა, როცა საუბარი იყო თავისუფლებაზე-ეს

იყო უნარი, რამაც ჩვენი ქვეყანა არაერთხელ გადაარჩინა; ეს უნარი ქართველებს საუკუნეების მანძილზე ამთლიანებდა და შეუძლებელი იყო, რომ ეს დაკარგულიყო... და მაშინ დაიგეგმა: ჩვენ დავინიშნებთ სრულიად მშვიდობიან ქმედებას და ამ მშვიდობიანი ქმედების მთავარი ადრესატი იქნება თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი. და ეს ერი შეძლებს მშვიდობიანად, უსისხლოდ გაუშვას ხელისუფლებიდან ის ადამიანები, რომლებიც ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ. ამ გეგმის ფარგლებში, შარშან, იმ ხედვით, რომელიც ჩამოაყალიბა ბიძინა ივანიშვილმა, წამოვიღეთ ის ხელისუფლება იმ ხალხისგან, რომელიც ქვეყანას სულ სხვა გზით მიაქანებდა“- შარშანდელი რთული წინასაარჩევნო პერიოდი მიმოიხილა მარგველაშვილმა და სწორი გათვალისწინების კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს და ხალხს, რომელიც არ შეშინდა და სწორი არჩევანი დააფიქსირა.

„არჩევნების შემდეგ დაიწყო კოჰაბიტაციის პროცესი. რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ რასაც ჩვენ დავინიშნავდით, ყველგან იყო ჩასაფრებული მცდელობა იმის, რათა ნებისმიერი მთავრობის წამოწყება წარმატებით არ დასრულებულიყო. თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცდილობდა, დაერიგებინა ვაუჩერები, ისინი ცდილობდნენ, არასწორად ჩაენერათ მიწა - ამ ყველაფერს ჰქონდა ერთი თავი, მაგრამ ბევრი საცეცი, აბლაბუდას ქსელივით გაშლილი. უამრავ გაზეთში და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში არ ცხრებოდა განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება“ არ ასრულებს თავის დაპირებებს... და ამის მიუხედავად, თქვენ მაინც დაინახეთ რეალობა, თქვენ დაინახეთ, რომ ბალები გახდა უფასო, უფასოდ დარიგდა სასკოლო სახელმძღვანელოები, გაზაფხულზე დაიწყო ხვნა-თესვა, დაიწყო საირიგაციო სისტემის გამართვა, დაინახეთ, რომ რთველი უმტკივნეულოდ ჩატარდა, რომ პენსიები და შემწეობები გაიზარდა. და დიდი მადლობა, რომ თქვენ არ მოტყუვდით. ეს იყო მძიმე ერთი წელიწადი. მაგრამ იქაც ვგეგმავდით და ვგეგმავთ თქვენთან ერთად. ჩვენ ამ ერთ წელიწადს ერთად გაუძელით. ახლა იწყება ახალი ერა საქართველოში, როცა ვგეგმავთ ისეთი სახელმწიფოს აშენებას, როცა ნებისმიერი ხელისუფალი ხალხის მსახური იქნება. ეს იქნება მართლაც განსაკუთრებული ქვეყანა“- აღნიშნა მარგველაშვილმა და თავისი გამოსვლა არა მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებების უცილობელი შესრულების პირობით დაასრულა, არამედ დასძინა, რომ ის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში კაბინეტში იმუშავებს.

ინგა შიოლაშვილი



ტკივილი

ქურალისტის ჩანაწერები

20 წელი გავიდა, ტკივილი კი არ ნელდება, იმ დღეების გახსენებაზე ისევ ცრემლი ანევა თვალებს, ისევ კენესის გული, ისევ ფორიაქობს სული, არ მშვიდდება, ვერ ეგუება დაკარგულ სოხუმს, ისევ ისე გვტკივა აფხაზეთი- თვალწარმტაცია, ბარაქიანი, განუყოფელი, კუთხე ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც დღეს შორიდან, დედას მოცილებული ჩვილის მონატრებით გავცქერით. რა ბედნიერები ვიყავით ჩვენ ჩვენს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში- ექსკურსიაზე თუ დასასვენებლად ჩასულები ვტყებოდით აფხაზეთის სილამაზით. ბიჭვინთაში ჟურნალისტა დიდი, კეთილმონყოილი და ლამაზი სახლი ზედ ზღვის პირზე იდგა. იქ ხშირად გვიტარებოდა სემინარები, პროფესიული ცოდნის ასამაღლებელი კურსები მთელი წლის მანძილზე იმართებოდა. წელიწადის ყველა დრო საინტერესო და მიმზიდველი იყო. ბოლოს 1980 წლის 13 დეკემბრიდან 27 დეკემბრამდე მშრომელთა წერილებზე მომუშავე ჟურნალისტების შეკრებაზე ვიყავ. წარმოუდგენლად მზიანი დეკემბერი იდგა. ის მზიანი აფხაზეთი საშუალოდ დარჩა ჩემს მესხიერებაში და მონატრებად იქცა... ტკივილი არ ცხრება, რადგან ჩემი თაობის ადამიანებმა ვიცით, რაც დაკარგეთ, რაც გვენატრება, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა კი არ იციან, რადგან არ უნდახავთ, მათ შეიძლება მხოლოდ წარმოიდგინონ, მაგრამ, როგორ შეიძლება წარმოიდგინონ ის წაღკოტი, რასაც ბზიფის ხეობა ჰქვია და გზა, რომელსაც რინის ტბაზე მიჰყავებთ, ტბაზე, რომლის ცალი და ბადალი არ მეგულვება დედამინაზე- კამკამა, შურყენელი, ცისა და დედამინის ანარეკლში ჩამტყვი.

ტკივილია 27 სექტემბერი, სოხუმის დაცემის დღე, როცა ქართულ-აფხაზური (და არა მხოლოდ) შეიარაღებული კონფლიქტის ბოლო, გადაწყვეტი ბრძოლა დასრულდა, კონფლიქტისა, რომელიც 13 თვე და 13



დღე გრძელდებოდა. ქართულ შენაერთებს, აფხაზეთთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებული მეზობლები, კახაკთა მილიციის შენაერთები და არაოფიციალურად გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის შენაერთები ებრძოდნენ. სოხუმისთვის გადაწყვეტილი ბრძოლას 27 ივლისს სოჭში ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ დადებული შეთანხმება უძღვოდა. თუმცა, აფხაზურმა მხარემ ის 16 სექტემბერს დაარღვია. ამ დროს სეპარატისტებმა სოხუმზე ფართომასშტაბიანი იერიში ზღვიდან, ხმელეთიდან და ჰაერიდან ერთდროულად მიიტანეს. ამ დროს საქართველოს, შეთანხმების თანახმად, მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი კონფლიქტის ზონიდან უკვე გაყვანილი ჰყავდა. მასიურ შეტევას მცირე რაოდენობის და სუსტად შეიარაღებულმა ქართულმა ნაწილებმა ვეღარ გაუძლო და... სოხუმი დაეცა. ქალა-

ქმი შესულმა სეპარატისტებმა დარჩენილი ნაწილების და მოსახლეობის არნახული ხოცვა-ჟლეტვა მოაწყვეს. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ყოფილი შარტავა, სოხუმის მერი გურამ გაბისკირია და ადგილობრივი მთავრობის წევრი რაულ ეშბა, რომლებმაც ქალაქის დატოვებაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს. სოხუმის დაცემას რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა მოჰყვა. 250 ათასზე მეტი ქართველი, ბერძენი თუ სხვა უმცირესობების წარმომადგენელი აფხაზეთიდან დევნილი გახდა. ტელევიზორებს მიჯაჭვულნი, ჯერ კიდევ 9 აპრილის მოუშუშებელი ტკივილით გულგახეთქილნი, თვალყურს ვადევნიდით თოვლიანი სვანეთის მთებზე გადმოძვალადამიანებს, მათ შორის ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, რომლებიც სიცივისა და შიმშილისაგან გზადაგზა იხრცებოდნენ. მას მერე გვტკივა აფხაზეთი, მას მერე ვერა-

ვინ დაადო მალამო ამ ჭრილობას... პირიქით, მას დამატა სამაჩაბლო, ქართულ ოჯახებს ნათესაური სისხლით გადაჯაჭვული ოსების დაკარგვა და მტრად მოკიდება, რუსული აგრესიის „მწვერვალი“-2008 წლის აგვისტო... დღეს ისევ ჩვენს გულზე გადადის მცოცავი მავთულხლართების ეკლიანი ხვეულები ქართლში... როდემდე და სადამდე, ღმერთო! წუთუ საუკუნეებით ნაჭედი ჩვენი ურთიერთობები რამდენიმე ათეულმა წელმა უნდა წალეკოს?! არამც და არამც, იმედს ნუ გადავინურავთ, მიტევა და პატიება ხომ ქრისტეს სჯულის საფუძველთა-საფუძველია! ჩვენ შევრიგდებით! იქნებ მათაც არანაკლებ სტიკავთ დედა-საქართველოდან მოგლეჯვა?!

და მინდა, ჩემი წერილი ერთი კარგი ქართველი ქალის ორი ლექსით დავამთავრო, ლექსით, რომელშიც სწორედ გვამოლიანების იმედი ანთია. გულო, იმედი ლამზირა ჯაპახიშვილი ჩვენი გაზეთის ძველისძველი გულშემატკივარი და ავტორია. ის ლავოდებში დაიბადა 1951 წლის 1 მარტს. სკოლა დაამთავრა და ბედი ოზანელ გივი ჯავახიშვილს დაუკავშირა. ბავშვობიდანვე ფაქიზი სული და ჰუმანიტარული საგნებისადმი გამორჩეული მიდრეკილება ჰქონდა. ეს ყველაფერი კი მის პოეზიაში გადმოიღვარა. ინტენსიურად გვწერდა პატრიოტულ და ლირიკულ ლექსებს, ჩანახატებს. მერე ერთხანობას „დაიკარგა“, კავშირები განწყდა, ცხოვრება აირია და... ლამზირამაც საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა. ის ახლა სიღნაღის რაიონის სოფელ საქობში ცხოვრობს, სამი შვილის და ცხრა შვილიშვილის პატრონია. მუზა კი მანც არ სტოვებს. დღეს მის ორ ლექსს გთავაზობთ, ლექსს, რომელიც ქართველების, აფხაზების და ოსების ტკივილია გაერთიანებული.

ნაირა გორაშვილი

სამშობლოს ბედი

მშვენიერია სამყარო, ხარობს თვალი და გული მიყვარს მე ჩემი სამშობლო, ათასფრად მოქარგული. სანამ ვიცხოვრებ ამ ქვეყნად, ხორცს გამეყრება სული, ვიხილო აფხაზ-ოსეთის, მინები დაკარგული ვიბრძოლებ კალმის მოხაზვით, როგორც მხატვარი ფუნჯით თვალწინ გადვუშლი სუყველას,

ჩემი სამშობლოს დუხჭირს. ოლონდ ფარავდეს ქვეყანას, ცა კამკამა და ლურჯი ფეხით მოვივლი სამყაროს, გადავიკიდებ ხურჯინს. რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, გადავიარო მთები, ყველგან მოვქებნი სამართალს ჩემი სამშობლოს ბედის. აფხაზეთი და ოსეთი, რომ დავიგულოთ გვერდით არავის დაეჩაგვინოთ, ქვეყანა მშვენიერი. შიშის ზარს ვცემდეთ სუყველას,

ვერვინ შელახოს ერი. გავამთლიანოთ სამშობლო!!! ვიხილოთ ბედნიერი.

არასოდეს მიგვატოვო

საყვარელო საქართველოვ, შენი ძუძუ გვიწოვია, გზები შენსკენ მომავალი დავკარგეთ, ვერ გვიწოვია. არ ველოდით ამ განაჩენს, შენს შვილებად აღარ გვევლიან. თითქოს თვალზე ბინდი გვეკერის ვეღარ ვხედავთ, დღეებს მზიანს.

გულს ეჭვები რატომ გვიღრღინის, ეს გვარგუნა ღმერთმა ბედად? წუთუ ჩვენი სიყვარული, მტრის ხელსგან მართლა კვდება? უშენობით როგორ გავძლოთ? გულზე ცეცხლი მოგვდებია, ერთად ვქებნოთ სამართალი. სანამდე არ არის გვიან. შენთან დაბრუნებას ვნატრობთ, იმედი გვაქვს ერთადერთი. არასოდეს მიგვატოვო ოსეთი და აფხაზეთი.

ლამზირა ჯაპახიშვილი

20 წელი სოხუმის დაცემიდან

27 სექტემბერს სოხუმის დაცემიდან 20 წელი შესრულდა. სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის დასაცავად აფხაზეთის ტერიტორიაზე შესულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ვლადისლავ არძინბას განკარგულებით შექმნილმა „აფხაზურმა გვარდიამ“, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეთთან ცეცხლი გაუხსნა.

სახელმწიფო საბჭომ სოჭი-ინგირის რკინიგზის მონაკვეთის დასაცავად აფხაზეთში ეროვნული გვარდიის შეყვანა 11 აგვისტოს, ვლადისლავ არძინბასთან შეთანხმების შემდეგ გადაწყვიტა. შეთანხმების მიუხედავად, „აფხაზურმა გვარდიამ“ საქართველოს ეროვნულ გვარდიას აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილებისას წინააღმდეგობა ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში და ქალაქ სოხუმში გაუწია, რასაც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა.

აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირება 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით და საქართველოს შეიარაღებული ძალების მარცხით დასრულდა. რუსულ-აფხაზურმა შენაერთებმა მდინარე ენგურის გასწვრივ პოზიციები 1993 წლის 30 სექტემბერს დაიკავეს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება „საქართველოზე გამარ-


ჯვებისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის დღეს“ ყოველი წლის 30 სექტემბერს აღნიშნავს.

ამ დრომდე დაუზუსტებელი მონაცემებით, აფხაზეთში 1992-1993 წლებში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებისას, ქართული მხრიდან 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. 300 ათასი აფხაზეთიდან დევნილი ქართველი კი უსახლკაროდ დარჩა.

აფხაზური მხარის მონაცემებით კი, დაიღუპა 3 500 და დაიჭრა 2 ათასამდე აფხაზი.

*** * ***
მართალია, ყოველ 27 სექტემბერს ვიხსენებთ აფხაზეთს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ტკივილი ისე აღარ გვანუხებს, როგორც მაშინ, როცა ახალი იარა იყო... იქნებ ხალხური სიბრძნეც, რომ დრო ყველა ტკივილს აამებს, გარკვეულწილად, მართალია, ან იქნებ ახლახანს დაკარგულ ტერიტორიებშიცაა საქმე-დიცსა და დვანში განვითარებულ მოვლენებს ვგულისხმობ, მაგრამ ეს არავის გვამართლებს, არც ხალხს და არც იმ სტრუქტურას, ვისი გადაწყვეტილებითაც თბილისში ბანერები წარწერილი-“აფხაზეთი-ჩვენი ტკივილი” სადღაც გაქრა... არ მინდა დავიჯურო, რომ მალე ქართულში არსებული პრობლემებიც მიგვაგვიწყდება ახალი ცხელი წერტილების საბაბით... არ მინდა ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის დაბრუნება საშუალო უტოპიად გვექცეს, არ მინდა მტერმა ირწმუნოს, რომ ჩვენ ტკივილს და ამ ტკივილის დათმენას იოლად ვეგუებთ...

ხელისგულებზე წაგლეჯილი სამშობლო მტკივას..



ხელისგულებზე წაგლეჯილი სამშობლო მტკივას, ხელისგულებზე ატკივებულ სამშობლოს ვდარდობ, საქართველოსთვის განწირული ქართველი ტყვე ვარ, ბედისწერას რომ შეატოვებს მტრების წინ მარტო. ამორძალი ვარ, გავიჭრები დაისრულ მთებში, და თუ მომხდური მომენევა თმებჩაშლილ ხიზანს, ქართულ სულს მაინც ვერ ჩაჰკლავენ მომხდურნი ჩემში, მე ცხრა ქართველი მეომარი მომავლის მინას. კოლხეთის მდიდრულ ღემეებში კვლავ ვებრძვი სურვილს, და სეფე-ქალი მთვარის სვეტთან ძველ ლაზურს უქრავს, ვბრუნდები თქვენთან, მედია ვარ ჯვარცმული სულით, და ცოცხალ-მკვდარი თქვოს სანმისს ვიბრუნებთ უვანს.. შემულია მთვარი, შეიშალა ფიქრებიეროგორც, და საქართველო, მე შენს გარდა ვერაფერს ვხედავ, ვარ ლეკის მთიდან მოპარული უცნობი გოგო - მტრისგან მოკლული გულისწორის დავტირი ცხედარს. ჩემს სამშობლოში მინოდებენ ჯალათნი ლტოლვილს, მომეძალება ტრაგიკულად უსიტყვეო სევდა, ლილე ვარ, ლილე - უგვირგვინო დედოფლის როლით, მეფე ვიორგის ერთადერთი მემკვიდრის დედა! ვარ ნაომარი, ნატყვიარი ჭრილობით ახლით, არ შემრჩა ძალა გავეკიდო ქარიშხლებს მცივანს, ხელისგულებზე ნუ მეხებით ბრძოლებით დაღლილს, ხელისგულებზე წაგლეჯილი სამშობლო მტკივას..

ქეთევან ნათელაძე.

მრავალწლიანი დაგა დასრულდა?!

დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მია ლაპიაშვილი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრმა და №1 სკოლამ უკვე მიიღეს განათლების მინისტრის თამარ სანიკიძის მიერ ხელმოწერილი ბრძანება, რის მიხედვითაც ლაპიაშვილს უფლებამოსილება შეუჩერდა. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სკოლის დირექტორის მოვალეობის შესრულება ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ირინა თეთვაძეს დაეკისრა.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მიხეილ ბახუტაშვილი ვერ აკონკრეტებს, რა გახდა ლაპიაშვილის გათავისუფლების მიზეზი. მისი თქმით, საფუძველი არც სამინისტროდან მიღებულ ბრძანებაშია მითითებული. ბახუტაშვილი განმარტავს, რომ ამასწინათ, სამინისტროდან კიდევ ერთი ბრძანება მიიღეს, სადაც ნათქვამია, რომ ლაპიაშვილი ვადის ამონურვის გამო ამ დრომდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად იყო გადაყვანილი.

გაზეთი „შირაქი“ მიზეზების გასარკვევად სამინისტროს დაუკავშირდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის ლალი როზომაშვილის განმარტებით, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორს მია ლაპიაშვილს ექვსწლიანი ვადა ამოწურა და გათავისუფლების მიზეზიც ეს გახდა. რამდე-

ნიმე კვირის წინ სამინისტრო ღიად აცხადებდა, რომ სკოლის დირექტორები ეტაპობრივად შეიცვლებოდნენ.

პირველი სკოლის ყოფილი პედაგოგები მაცვალა მადლარაშვილი და მაცვალა ლაპიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ განმარტავენ, რომ პედაგოგების მრავალწლიანი დავის დეტალებით საქართველოს განათლების პროფესიული კავშირების გაერთიანების პრეზიდენტი მია კობახიძე დაინტერესდა, მასალებს გაეცნო და შედეგები მინისტრს მიანდა, რის შემდეგაც დღის წესრიგში დირექტორის გათავისუფლების საკითხი დადგა. ყოფილი პედაგოგები ფიქრობენ, რომ ამჯერად დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებაში დიდი როლი მის მუშაობაში არსებულმა დარღვევებმა და საქმეში პროკურატურის ჩართულობამაც ითამაშა.

რესურსცენტრი და სამინისტრო განმარტავენ, რომ ლაპიაშვილს კვლავაც შეუძლია დირექტორის კონკურსში მონაწილეობა მიიღოს. მიხეილ ბახუტაშვილი მია ლაპიაშვილს დადებითად ახასიათებს და მისი მუშაობით კმაყოფილია. ის ამბობს, რომ ლაპიაშვილი ერთ-ერთ ძლიერ კადრად მოიაზრე-

ბა, თუმცა გასულ წლებში მის მიმართ გარკვეულ უწყებებს შეკითხვები ჰქონდა. ამასთან, რესურსცენტრში საზს უსვამენ, რომ ლაპიაშვილს ნასამართლეობა არ აქვს და კონკურსში მონაწილეობის უფლება ვერ შეეზღუდება.

„აკრძალულია, დირექტორობის კანდიდატი ნასამართლევი იყოს, თუმცა როგორც ცნობილია, ლაპიაშვილი ნასამართლევი არ ითვლება. მასზე საქმის წარმოება შეწყდა და განრიდება გაკეთდა, თავისუფლად შეუძლია კონკურსში მონაწილეობა მიიღოს, რადგან გასულ წელსაც წარმატებით დაძლია სასურტიფიკაციო გამოცდები და მაღალი შედეგი აჩვენა. მას ასევე საკმაოდ კვალიფიციური თანამშრომლობა ჰქონდა რესურსცენტრთან და ნებისმიერ დავლებას მაღალპროფესიონალურ დონეზე ასრულებდა,“ - აცხადებს მიხეილ ბახუტაშვილი.

თავად მია ლაპიაშვილს

გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას განათლების სამინისტროს პრესცენტრის მიერ გაკეთებული განმარტება უცნაურად ეჩვენება. მისივე თქმით, ქვეყნის მასშტაბით 2000-ზე მეტ საჯარო სკოლაში კვლავაც ვადაგასული დირექტორები რჩებიან, ამდენად ეს მიზეზი მისთვის ნაკლებად დამაჯერებელია.

სკოლის კიდევ ერთი ყოფილი პედაგოგი, დანყებით სწავლების მასწავლებელი თამარ ალადაშვილი გაზეთ „შირაქს“ რამდენიმე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას აჩვენებს და განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი სამსახურში აღდგენის გადანყვეტილება სასამართლომ რამდენჯერმე გამოიტანა, ის სკოლაში არ აღუდგენიათ. მისივე განმარტებით, ლაპიაშვილმა საბოლოო ჯამში სკოლიდან 20-ზე მეტი პედაგოგი გაათავისუფლა, რომელთა ნაწილს ნერვიულობის ფონზე სხვადასხვა აშლილობები დაემართათ. ალადაშვილი მიიჩნევს, რომ გათავისუფლებულმა პედაგოგებმა ლაპიაშვილს, როგორც სამი შვილის დედას, შელავათი გაუწიეს.

„პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მია კობახიძე დე-

დოფლისწყაროში ჩამოვიდა და პედაგოგები დაიცვა გათავისუფლებისგან. იმხელა ინტერესი მის ბრძანებებს არ შეასრულებდა, უმაღლესი მოიძულედა. ასე იყო, მაგალითად, სესილი ბრეკაშვილისა და მანანა სისაურის შემთხვევაში. კობახიძის ჩამოსვლამდე დირექტორმა პედაგოგები გააფრთხილა, რომ საათები აღარ ექნებოდათ, რასაც პედაგოგები შეენიანაღმდეგნენ. მაღლობა ყველა ადამიანს, ვინც ჩემთან ერთად ცდილობდა ნიღბის ჩამოსხმას და ბოლოს და ბოლოს დირექტორი გაათავისუფლეს,“ - აცხადებს ყოფილი პედაგოგი, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე მაცვალა მადლარაშვილი.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ამჟამინდელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ირინა თეთვაძე აცხადებს, რომ მას უფლებამოსილება მოულოდნელად დაეკისრა. ის ამბობს, რომ დირექტორის სავარძლის დაკავების ამბიცია არ აქვს და, შესაბამისად, არც მომავალში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მილებას არ გეგმავს.

ილია მარტყოფლიშვილი



ვინ ჩაითვლება ღარიბად? უმწიკოთა სიღარიბის ახალი ფორმულით დაადგინენ!



„იყო შემთხვევა, როდესაც ბავშვი შიმშილით გარდაიცვალა, ასეთი ოჯახი კი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა ბაზაში შეყვანილი არ იყო“

„სიღარიბის დადგენის ფორმულა თავიდან იწერება, რასაც შესაძლოა უმწიკოთა ბაზაში მყოფთა რაოდენობის მკვეთრი შეცვლა მოჰყვეს“, - განუცხადა „კვირის პალიტრას“ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ნოე ქინქლაძემ. რამ განაპირობა ასეთი გადაწყვეტილება და იქნება თუ არა სიღარიბის დადგენის ახალი ფორმულა არსებულზე უფრო ეფექტიანი? - ამ და სხვა შეკითხვებს ბატონი ნოე ქინქლაძე უპასუხებს:

- ამჟამად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა კატეგორიას 435 ათასი კაცი განეკუთვნება. ეს დაახლოებით 145 ათასი ოჯახია. დახმარების სახით ასეთი ოჯახის პირველი წევრი 60 ლარს იღებს, დანარჩენი წევრი კი 48 ლარს. ჯამში ბიუჯეტიდან მათთვის ყოველთვიურად 24 მილიონი ლარი გაიცემა. სიღარიბის დამდგენი ფორმულა, რომლის მიხედვითაც ეს ოჯახები უმწიკოთა ბაზაში შეყვანეს, 2002 წელს შემუშავდა. როგორც იცით, ოჯახების მდგომარეობას სოციალური აგენტი ამოწმებს, რასაც ქულებით აფასებს. თუკი ქულათა რაოდენობა 57000-ს არ

ნისაზღვროს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის თუ არა ოჯახი. სოციალურმა მუშაკებმა მჭიდრო კონტაქტი უნდა იქონიონ ოჯახებთან და ნებისმიერი საეჭვო ინფორმაციის მიღების შემთხვევაში (რაც სიღარიბესა და უკიდურეს სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს) აცნობონ თავიანთ სამსახურს. ჩვენ ამჯერად „იუნისეფის“ წარმომადგენლებთან ვმსჯელობთ იმაზე, თუ როგორ, რა მეთოდოლოგიით შეიძლება სიღარიბის დადგენა. იწერება ახალი ფორმულა, ვადგენთ კითხვარს, რომლითაც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას ხელახლა შეისწავლიან და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა რაოდენობაც უფრო დაზუსტდება.

- და მაინც, როგორი იქნება სიღარიბის დამდგენი ახალი ფორმულა?

- ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ვერც იმას გეტყვით, სიღარიბის განმსაზღვრელად რა ქულათა რაოდენობა იქნება საჭირო. ამ საკითხზე ამჯერად უცხოელი და ქართველი ექსპერტები მუშაობენ. „იუნისეფი“ საქართველოს მასშტაბით კვლევას აფინანსებს, რომელიც მოსახლეობის მდგომარეობას დაადგენს. მან ამისთვის ტენდერში გამარჯვებული ფირმები და ფიზიკური პირები მოიწვია. რასაკვირველია, ამისთვის ყველა ოჯახში შესვლა არ დასჭირდებათ, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, მოსახლეობის რაოდენობის და სხვა მონაცემების გათვალისწინებით შეირჩევა გამოსაკვლევი კონტინგენტი, რაც საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს და ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ამსახველ

სრულ სურათს მოგვცემს. ამგვარ შედეგზე დაყრდნობით შემდეგ მოვამზადებთ ნინადადებს მთავრობისთვის წარსადგენად, თუ როგორი უნდა იყოს სიღარიბის დამდგენი ახალი ფორმულა.

- გასულ წლებში კონტროლის პალატის აუდიტმა გამოავლინა, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა ბაზაში თანამდებობის პირები და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებიც იყვნენ. ისინი ამოიღეთ სიღარიბის?

- თუკი პირი არ წარადგენს ინფორმაციას სამსახურის დანყების შესახებ, ისლა დაგვრჩენია, ეს შემოსავლების სამსახურიდან გავიგოთ. ასეთ შემთხვევაში დახმარება პირს დაუყოვნებლივ შეუწყდება. რაც შეეხება ჩვენს თანამშრომლებს, მთავარი ის იყო, რომელიმე მათგანმა თანამდებობის გამოყენებით დაინიშნა თუ არა დახმარება. თორემ ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა სოციალური სააგენტოს მუშაკი ანაზღაურებად 300 ლარს იღებდა, ამ დროს კი ათსულის ოჯახი ჰყავდა სარჩენი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში დახმარებას ვერ მოუხსნიდით.

- ყოფილა შემთხვევა, როცა სოციალურმა მუშაკმა ღარიბი ოჯახი, რაკი მას ერთი ძროხა ჰყავდა, უმწიკოთა ბაზიდან ამოიღო.

- იყო ასეთი შემთხვევებიც, მაგრამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ ხელახლა შეისწავლეს ასეთი ოჯახების მდგომარეობა და ბევრ მათგანს დახმარებაც აღუდგა.

კპა ასათიანი, გაზეთი „კვირის პალიტრა“

ხეში ამლერებულ ქართული სული

ვისაც ეგრეთ წოდებულ ჯარის წყლის მიმდებარე ტერიტორიასთან გაუვლია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა გზის პირას, პატარა დახლებზე გამოფენილი ხის ნაკეთობები. თვალის ვერ იმასხორავს უამრავ ლამაზ ნივთს, რომელშიც ყველაფერი ქართული იკითხება და უფრო მეტი სიამაყით ჩქორლავს ძარღვებში სისხლი, რომელშიც ჩვენი გენეტიკა ყივის. ეს კია, ხეში ნაკვეთი ნივთები მალამოდ ედება და თვალის ჩინსაც ხიბლავს. დახლიდან ჩონგურები, ხის ჯვრები, ეკლესიები, პატარა ქვევრები, სასმისი ფიალები, სხვადასხვა ზომის აკვნები, ლამაზ-ლამაზი შანდლები შემოგვყურებს, თითქოს რაღაცას ძველისძველს და ტრადიციულს გვიყვება. დაილოცოს ქართველი კაცის მარჯვენა, მისი შრომა და გარჯა მუდამ დაფასებულიყოსო, - იტყვის ადამიანი, რომელისთვისაც ეს ყველაფერი ისე უბრალო ჩხირკედელაობა კი არა, საქმეა, რომელიც წინაპართა გადმოცემული და ნასწავლს აგრძელებს. და განა რა არის ამაზე უფრო ქართული, უფრო სულში ჩამწვდომი, ვიდრე ეს კეთილშობილური საქმე, რომელსაც ხეში ამლერებული სათქმელი ჰქვია. იქვე, დახლთან ახლოს, პატარა ჯიხურია, იმ ჯიხურიდან მუდამ ჩაქურჩის კაკუნის ხმა მოისმის, ან დაბალ ხმაზე ლილინი. შიგნით, სახეზე პირსაცხე, ტანსრული მამაკაცი დაგხედებათ, კეთილი გამომეტყველებით. ფეხები? - ფეხები არ უჩანს, ორივე ფეხმოკვეთილი, კაცი ეტლში ზის, მაგრამ ხელები არ ისვენებს, - შრომობს და შრომობს. არსენა მარაბდელის სიტყვები მახსენდება, „უქმად ჯდომას, უქმად შრომა სჯობიაო!“ ახლა ორმაგად კი არა, ასმაგად დასაფასებელია ამ კაცის შრო-

მართლაც, ნითლად ღვივის და თვალს ძალიან აამებს. ჩემი მასპინძელი ტკბილმოსაუბრე აღმოჩნდა, ცხადია, ქართული საქმის მკეთებელი კაცი, სხვანაირი მასპინძელი ვერც იქნებოდა. საუბარი ადვილად ავანყეთ. სადაურობა ვკითხე და თვალები გაუნათდა, ესიამოვნა, მისი წარმომავლობით რომ დავეინტერესდი.

- მირზაანში დავიბდე და გავიზარდე, სწორედ ნიკო ფიროსმანაშვილის სახლმუზეუმის წინ იდგა ჩემი სახლი, იქ გავატარე ბავშვობა, მამაჩემს ლექსო ერქვა, დედას, - ეკატერინე. ჩვენს ოჯახს „მედროშიანთ“ გვეძახოდნენ, ჩვენი ჩამომავლები ახოვანი, ჯანღონით სავსე და ლამაზი ხალხი იყვნენ, მუდამ ომებში დადიოდნენ, ოჯახის ზედმეტ-სახელიც ამაზე მეტყველებს, - „მედროშიანთ“, როგორც ჩანს ჩემს მამა-პაპას ომში დროშა მიჰქონდა წინ, აქედან გამომდინარე, მათზე მოდიოდა დიდი ძალისხმევა, ომში დროშის დაცვა ადვილი საქმე არ გახლდათ.

მირზაანის რვანლიანი სკოლა დავამთავრე ხუთეზზე, სწავლა ცეკავშირის კოოპერატიულ ტექნიკუმში განვავრძე, დამთავრების შემდეგ კი ნითელწყაროს რაიკოპერატივში რიგით გამყიდველად დავინყე მუშაობა მალე ჯარში წავედი, ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ჩავაბარე იმალღესში, კოოპერატიულ ინსტიტუტში ეკონომისტის სპეციალობით. 1978 წელს დავოჯახდი, მეუღლემ, ნელიმ სამი შვილი მარჩუქა, დღეს ხუთი შვილიშვილის და ერთი შვილთაშვილის პაპა ვარ!

- ხესთან მუშაობა როდის დაიწყეთ, რამ განაპირობა, რომ ასეთ საქმეს მოკიდეთ ხელი და საიდან მოდის ეს ნიჭი?

- ჩვენი ჯიში და მოდგმა ოდითგან მშრომელი ხალხი

ზებს. თანაც, დაინტერესებული ვარ, რომ ოჯახი ვარჩინო, არც მეუღლე მუშაობს, მე კი, ასე დაინვალიდებული, მარტო პენსიის ანაბარა ვარ, სოციალური დახმარებაც არ გვაქვს, წელიწადნახევრის წინ სიტყვიერი მითითება მიიღო სოციალურმა სამსახურმა, სწორედ იმიტომ, რომ ჩემი შვილი ამავე სამსახურში მუშაობს, არ გეკუთვნიოთ და მოგვიხსენიებს დახმარება. არ ვუნუნებ, მაგრამ, სად იყო სამართალი, ჩემს შვილს ხომ თავისი ოჯახი აქვს, ჩვენ კი ჩვენი, რატომ უნდა მოგვეცოდნენ ასე?!

- ნამუშევრების რეალიზაციას თუ ახდენთ, შემოსავალი გაქვთ?!

- რეალიზაცია თითქმის არ მაქვს, იშვიათად თუ ვინმემ რამე იყიდოს და დაინტერესოს, თბილისშიც მაქვს გაგზავნილი რამდენიმე ნამუშევარი, იაფადაც ვყიდი, მაგრამ, აგერ თვეები გადის და გაყიდვაჭირს, არადა, სპეციალისტმა ნახა ეს ფანდურები და აღნიშნა, რომ ასეთი კარგი და მკვიდრი საკრავების შოვნა თვით ხელოვნებასაც უჭირთ თურმე, ამაზე ბევრად ნაკლები ფანდურები უფრო ძვირად ფასობს თურმე ქალაქში. მიუხედავად ამისა, უსაქმოდ ჯდომა არ შემიძლია, ჩემი ძირითადი შემოსავლის წყარო მოსახლეობის მომსახურებაა, მჭრელი ინსტრუმენტების გალესვა, პატარა-პატარა საოჯახო ნივთების შეკეთება-გარემონტებაა. ხეზე მუშაობა კი ჰობივითაა, მინდა რაღაც ვაკეთო და ფანტაზიაც თავისით მოდის.

- ძირითადად რომელი ხის მასალას იყენებთ?

- მ ა ს ა ლ ა დ ნაბლს ვიყენებ, ნიფელიც ძალიან კარგია, ღვიის და თუთის ხეების მასალაც ძალიან მომწონს, ფანდურებისთვისაა კარგი, თუთა თეთრი გამოდის, ღვია კი, ნითელი, გველის ხეც კარგია, კაკალი ხომ საუკეთესო



მიტიგებზეც დავდიოდი, თავისუფალი აზრის გამომხატველიც ვიყავი ყოველთვის და თავისუფალი სიტყვის ფასი ვიცი დღესაც. მიუხედავად ამისა, არცერთ პოლიტიკურ ძალაში არ ვყოფილვარ ჩართული „სახალხო ფრონტის“ გარდა. ოქტომბრის არჩევნებამდე ქართული ოცნების მიმართ ვამუღავნებდი სიმპატიას და ამაზე თავისუფლადც გამოვთქვამდი ჩემს სახელმისწინაო აზრს, რის გამოც, შენიშვნებს სამსახურებში ჩემი შვილები და ახლობლები იღებდნენ, რაც არასწორად მიმაჩნია, თუ, ჩვენ პრეტენზია გვაქვს, რომ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, სიტყვის და თავისუფალი აზრის გამოხატვის შეზღუდვა აღარ უნდა იყოს. დღესდღეობით, შედარებით გამოსწორდა ამ კუთხით მდგომარეობა. დააკვირდით კარგად, გამოიცვალნენ მინისტრები, თანამდებობის პირნი, მაგრამ მოადგილეების გარდა, ყველა რიგითი ადამიანი თავის პოსტზე დარჩა.

- ხალხს გამძლეობას და იმედის დაუკარგაობას, შრომისმოყვარეობას და საკუთარი შრომის დაფასებას ვუსურვებ!

გივი ფიროსმანაშვილისგან პატარა ფანდურებით ხელდამშვენებული დაბრუნდი სახლში, ისე გამიხარდა, თითქოს ამაზე ძვირფასი ცხოვრებაში არაფერი მქონოდა, ვიფიქრე, ამ ნივთებს ჩემს ხელნაკეთი ნივთების კოლექციის კუთხეს შევმატებ მეტი და მომიხაროდა, მიყვარს ყველა ის ნივთი, რომელიც ქართული სული ზის. ასეთ ნივთებს მხოლოდ სპეციალურად განკუთვნილ ადგილებში თუ ვიძინებ ხოლმე, თითქოს ქართული მაღლი მოგვექონდეს სახლში, ისეთი განწყობა გვეუფლება. არადა, ეს ყველაფერი აქვე, სულ ერთი ხელის განვდენაზე გვაქვს, იყიდება და ვერ ვამჩნევთ, რომ ვიყიდით. სახლში მისულმა შევიღებს გადავეცი პატარა ფანდური და ქვევრი, თან ავუხსენი, თუ რა იყო, რა მაღლია მასში ჩაქსოვილი და რამდენად დიდი დანატოვარია ის ჩვენი წინაპრებისგან. ისე გაიხარეს ბავშვებმა, თითქოს ნატურის თვალის ჩაუვარდათ ხელში, ძალიან მოეწონათ, ეხუტებოდნენ და აღარ დამანებეს თავი. თვალზე ცრემლი მომადგა, ერთი კი ვიფიქრე, რაღა სათამაშოს არ ვყიდულობთ ბავშვებისთვის მშობლები, რამდენ თანხას ვხარჯავთ, რომ გავახაროთ ისინი, არადა, ქართველმა დედამ ამაზე უკეთესი რაღა უნდა უყიდოს სათამაშოდ შვილს, თუ არა პატარა ფანდური, ქვევრი, ფიალა და აკვანი!

ლალი მხერიშვილი



მა. რამდენი ჯანღონით სავსე ადამიანი გვინახავს, უქმად რომ დაიარება და დღე და ღამ „ბირჟაზე“ ზის. ამ ადამიანმა კი, ასეთ მძიმე მდგომარეობაშიც ჰპოვა თავისი შესაძლებლობების რეალიზება საზოგადოებაში, ის ხეს ესაუბრება და თავის სათქმელს ასე ეუბნება ადამიანებს. კათილი საქმეა ღმერთიანი. ალბათ, ვინც იცნობთ, ყველა მიხვდით, ეს საუბარი ბიჭი ფიროსმანაშვილს ეხება. როცა მასთან სტუმრად მივედი, ღვიისგან ნითელი ფერის ფანდურს თლიდა, ძვირფასი იო ღვია,

იყო, თან მირზაანიდან ვარ და ეს გარემოება მოგეხსენებათ გარკვეულ როლს თამაშობს. ფიროსმანაშვილებს ეტყობა სისხლში გვაქვს ხელოვნებისადმი ტრფიალი გამჯდარი. ბოლოს და ბოლოს, ნიკალას სოფელს ხელოვნება რომ არ მიყვარდეს, აბა რა ვიქნებოდი?! ბავშვობიდან მიყვარდა ჩხირკედელაობა, როცა ფეხები დავკარგე, ხეს მოვკიდე ხელი, მომწონს და მსიამოვნებს ეს საქმე. ხესთან მუშაობით ლამაზ ნივთს რომ გავაკეთებ ხოლმე, მიხარია და ეს თითქოს ცხოვრებას მივსებს, მიღამა-

მასალაა, აი, ახლა ამ ფანდურს ღვიისგან ვაკეთებ და ძალიან კარგია და ხედავთ, რომ ლამაზი ნითელი ფერის გამოდის, ამიტომ მიყვარს ღვია.

- რას იტყვი ჩვენს დღევანდელ სახლზე, როგორ შეაფასებთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში?

- ცხოვრებაში ოპტიმისტი ვარ, მთელი ცხოვრება უკეთესი მომავლის იმედით ვცხოვრობ, ასე ვარ დღესაც, მაქვს იმედი, რომ უკეთესი გახდება ცხოვრება.

სანამ ჯანმრთელობა ხელს მიწყობდა, არაფერს ვაკლდი,



მართლმადიდებელმა ეკლესიამ 27 საქმეებარს ჯვართაშეშენება იწიქა

მოციქულთასწორმა წმინდა კონსტანტინე დიდმა (306-337) შენვეყიჭა რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამას კი წინ უსწრებდა სასწაული: 312 წელს, როცა კონსტანტინე ეომებოდა მაქსენტიუსს, იმპერატორმა და მთელმა ჯარმა დაინახეს ცაზე გამოსახული ჯვარი წარწერით: "ამით სძლიე!" მეორე ღამით იმპერატორს იესო ქრისტე გამოეცხადა ჯვრით ხელში და უთხრა, რომ ჯვრის ძალით სძლევა მტერს, თან უბრძანა, ბრძოლაში ჯვარი წინ წაემძღვარებინა. იმპერატორი ასეც მოიქცა და გაიმარჯვა.

კონსტანტინემ ირწმუნა ჯვრის ცხოველმყოფელობა და აღინთო უფლის პატიოსანი ჯვრის პოვნის სურვილით, რომელზეც მაცხოვარი იესო კაცთათვის. ამ მიზნით იერუსალიმში გაგზავნა დედა, მოციქულთასწორი, წმინდა დედოფალი ელენე. დედოფალმა დიდი ძალისხმევით მიაკვლია ჯვარს გოლგოთაზე. იქვე იყო ის ფიცარი, რომელზეც პილატემ სამეწიფოვანი - ებრაული, ლათინური და ბერძნული - წარწერა გააკეთებინა ("იესო ნაზარეტელი, მეფე ჰერიათა") და ის ოთხი სამსჯვალის, რომლებითაც მაცხოვარი ჯვარზე მიაღვრეს. იმისთვის, რომ შეეტყუოთ, ამ სამიდან უფლის ჯვარი რომელი იყო (როგორც ცნობილია, მაცხოვრის ჯვარცმისას ორი ავაზაკიც აცვეს ჯვარს), პატრიარქმა მკაცრად რეგირგობით შეახო ისინი ერთ მიცვალეულს, რომელსაც იმ დროს დასაკრძალავად მიახვეწებდნენ. იგი გაცოცხლდა. გახარებულმა დედოფალმა და მისმა მხლებლებმა თაყვანი სცეს ჯვარს. უამრავმა ადამიანმა ჯვართან მიახლოება ვერ შეძლო. მაშინ პატრიარქს სთხოვეს, ავმაღლებინა ჯვარი, რათა ყველას შესძლებოდა, თუნდაც შორიდან დაენახა და თაყვანი ეცა მისთვის. პატრიარქმა და სამღვდელთაშეშენებამ უფლის პატიოსანი

ჯვარი აღამაღლეს. ეს საზეიმო მოვლენა 326 წელს მოხდა.

კონსტანტინემ აღდგომის საღიღებლად ტაძარი ააშენებინა, რომელიც თავის კედლებში გოლგოთასაც მოიცავდა და უფლის საფლავსაც. ეს ტაძარი 335 წლის 13 სექტემბერს ქრისტიანული წესით აკურთხეს. მეორე დღეს დაწესდა დღესასწაული უფლის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის მსოფლიო ამაღლებისა (ჯვართამაღლება), რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია 14/27 სექტემბერს ზეიმობს. დღესასწაულის შემდგომ ხდება ცხოველმყოფელი ჯვრის საზეიმო აღმართვა და შებრძანება საკურთხეველში, სადაც მას ტრაპეზზე დაასვენებენ.


რაც შეეხება უფლის ჯვრისა და სამსჯვალეების შემდგომ ისტორიას: კონსტანტინოპოლში ელენე დედოფალმა თან წაიღო იერუსალიმიდან წაწილი უფლის პატიოსანი ჯვრისა და სამსჯვალეები. ძელიცხოვლის წაწილები მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიმოიფანტა, მათ შორის საქართველოშიც მოხვდა.

IV საუკუნეში, მას შემდეგ, რაც წმინდა მირიანთან ერთად მთელი ქართლი მონათლა, ახალგაქრისტიანებულმა მეფემ ბიზანტიაში წარავლინა ეპისკოპოსი იოანე და იმპერატორს სთხოვა, ებოძებინა ქართველთათვის წაწილი ძელიცხოვლისა. გაუხარდა კონსტანტინე კეისარს ქართველთა გაქრისტიანება და მირიანს წმინდა ჯვრის წაწილები გამოუგზავნა: ფიცარი, რომელზეც უფლის ფერხნი იყო დამსჯვალეული და ორი ლურსმანი.

ქართლისკენ მომავალ იოანეს გზადაგზა დაუტოვებია ეს

სინმინდენი: ერუშეთს - განძის წაწილი და უფლის სამსჯვალე, მანგლისში - ფერხთა ფიცარი.

...XIII საუკუნის დასაწყისში დავით ნარინს უფლის სამსჯვალისთვის გაუშვადებია ჩასაბრძანებელი - ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს მიტრა, რომელიც მანგლელი ეპისკოპოსისთვის შეუწირავს. მოგვიანებით სამსჯვალე და მიტრა თბილისის სიონის ტაძარში იქნა გადატანილი.



მეფე არჩილს ქრისტეს სამსჯვალე და დიდი სასოება შქონდა. თურმე მის წინ აფიცრებდა ორგულს. როცა ყაენმა არჩილის საქართველოდან გაძევება მოითხოვა, მან, მეფე გიორგის ნებართვით, რუსეთში წაიღო სინმინდენი. ეს იყო 1681 წელს.

არჩილმა სინმინდენი კრემლის მიძინების ეკლესიას მიაბარა შესანახად... XX საუკუნის 50-იან წლებში, მანგლისის ტა-

ძრის შესახებ მონოგრაფიაზე მუშაობისას, ბატონი მალაქია დვალის დაინტერესებული სამსჯვალისა და მანგლელი მიტროპოლიტის მიტრის ბედი და მათი მოძებნა უცდია. "ლურსმანი და მიტრა რომ წამდვილად კრემლის მიძინების ეკლესიაში იყო დაცული, ჩანს ნიკოლოზ I-ის მიერ 1849 წელს გამოცემული ალბომიდან, სადაც სამსჯვალისა და მიტრის ფერადი ჩანახატია მოთავსებული. იქვე მითითებულია, ეს ნივთები მოსკოვში, მიძინების ეკლესიაში ინახებოდა", - ბრძანებს ბატონი მალაქია. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ეკლესიის საგანძური კრემლში იარალის პალატას გადაეცა. ბატონი მალაქიას უნახავს კიდევ მუზეუმის საცავებში უფლის სამსჯვალე, მიტრისთვის კი ვერ მიუკვლევია. ძელიცხოვლის წაწილი ჩატანებული იყო წმინდა თამარ მეფის გულსაკიდ ჯვარში.

წმინდა ექვთიმე თაყაიშვილს 1910 წელს, ლეჩხუმ-სვანეთში მოგზაურობისას, უნახავს კალას ეკლესიაში დაცული ხატი-სანაწილე, რომელიც ძელი ქვმარიტის შესანახად ყოფილა განკუთვნილი. მისივე თქმით, ბრიტანეთის მუზეუმს შეუძენია წმინდა გიორგის გულსაკიდი ხატი, რომელიც წმინდა ქეთევანს ეკუთვნოდა.

დედოფლის წამების შემდეგ ხატში მოთავსებული ძელიცხოვლის წაწილისთვის ქეთევანის წმინდა წაწილიც მიუმატებიათ. ექვთიმესავე თქმით, მარტვილის ეკლესიაში ინახებოდა ქაიხოსრო გელოვანის თანამეცხედრის, როდამ დგებუაძისეული შეწირული ძელი ქვმარიტის წაწილიანი ოქროს ჯვარი. პლატონ იოსელიანის ცნობით, ნიქოზის ტაძარში 1798 წლამდე ინახე-

ბოდა ძელიცხოვლის წაწილების ჯვარი. 1798 წლის ივლისში ნიქოზის ეპისკოპოს ათანასეს ბრძანებით ჯვარი ეკლესიის გარეთ სანაწილე დაუშვენებიათ და მის წინ დაუფიცებიათ თავადთ. ფიცის შემდეგ ძელი ქვმარიტის შენახვა დაინკუთხა, მწუხრის შემდეგ მოუკითხავთ, მაგრამ ვეღარ უბოვიათ. ამის გამო გიორგი XII-მ ათანასე ნიქოზელს კათედრა ჩამოართვა და გარეჯის მონასტერში გაგზავნა.

ძელიცხოვლის წაწილები ჩატანებული ყოფილა IX-X საუკუნეების მარტვილის ენკოლოპიონისა (რომელიც ხოსროვანუმ დედოფალს ეკუთვნოდა) და ე.წ. კვირიკეს ჯვარში, რომელიც X საუკუნეში მეფე კვირიკესთვის შეიქმნა, ასევე - ერმიტაჟში დაცულ ქედურ სტავროთეკაში, ე.წ. შალიანის ხატში, რომელიც მთელ სვანეთში იყო განთქმული თავისი ძლიერებით, სილიხანის ოთხსცენიან ხატსა და წაღწევის მაცხოვრის ხატში, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ე.წ. საჰაკელის სანაწილემდე.

1109 წელს იერუსალიმში წმინდა საფლავის კანტორმა ანსელუსმა შეიძინა ძელიცხოვლისგან ამოღებული ჯვარი და პარიზის ლეთისმშობლის ტაძარს უძღვნა. მისი თქმით, ეს ჯვარი უნდა ქართველთა მეფის, დავითის ქვრისგან შეიძინა. რამდენად სარწმუნოა ეს ცნობა, თავად განსჯეთ - წმინდა მეფე დავითი ხომ ამ დროს ჯანმრთელი იყო და ხალ-სალამათი იყო.

დაბოლოს, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლება არ იყო ოდენ ისტორიული მოვლენა; ეს მაგალითია თითოეული ქრისტიანისათვის - ისევე როგორც ჯვარი ამაღლდა, იესო ქრისტეს მასზე ჯვარცმით განდიდდა და გაბრწყინდა, ასევე ჩვენც უნდა ავმაღლდეთ შინაგანი და სულისეული სამყაროთი, რათა ღირსი შევიქნეთ იესო ქრისტესთან ურცხველი შეხვედრისა.

28 საქმეებარსი სოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა

ფრთხილად, ცოფი!!!

ცოფი მწვავე ზოონოზური ვირუსული ინფექციაა, რომელსაც ახასიათებს ცენტრალური ნერვული სისტემის პროგრესირებადი დაზიანება და ის ყოველთვის ავადმყოფის გარდაცვალებით მთავრდება.

ცოფით ავადდება ყველა თბილისისტიანი ძუძუმწოვარი, შინაური და გარეული ცხოველი. ცოფით ავადდება ადამიანიც!!!

ცოფით ადამიანის დაავადება-ჰიდროფობია (წყლის შიში). დაავადების შემთხვევები გვხვდება მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყნის ტერიტორიაზე. ჰიდროფობიით ყოველწლიურად 55000-ზე მეტი ადამიანი იღუპება, რომელთაგან 40%-მდე ბავშვია. ჰიდროფობიით დაავადებისა და გარდაცვალების უმრავლეს შემთხვევაში ინფექციის წყარო ძალიან. პროფილაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ვაქცინაციაა.

მსოფლიოში ყოველწლიურად 15 მილიონზე მეტ ადამიანს უტარდება პოსტექსპოზიციური

პროფილაქტიკური ანტირაბიული ვაქცინაცია დაავადების განვითარების ასაცილებლად;

ბუნებაში ცოფის ვირუსის ძირითად რეზერვუარს წარმოადგენენ შინაური და გარეული ცხოველები: ძაღლები (შინაური რეზერვუარი), კატები, მელიები, მგლები, ტურები და სხვა. ცოფის ვირუსი ცოფით დაავადებული ცხოველების ნერწყვით გამოიყოფა გარემოში.

ადამიანი ინფიცირდება ავადდება ცოფით დაავადებული ცხოველის ნერწყვით, ძირითადად, კბენითა და დაკანწრის შედეგად. ადამიანის დაინფიცირება ასევე შესაძლებელია დადობრებით, დაავადებული ცხოველის ნერწყვის მოხვედრით ლორწოვან გარსსა და დაზიანებულ, მთლიანობადაღრეულ კანზე.

ინფექციის გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე თეორიულად შესაძლებელია, თუმცა სამედიცინო პრაქტიკაში აღრიცხული არაა. ადამიანისთვის ცოფით დაავადებული ცხოველის ხორცის სა-

კვებად გამოყენება, დაავადების თვალსაზრისით, საშიშროებას არ წარმოადგენს.

ინკუბაციური პერიოდი, ანუ დრო დაინფიცირებიდან დაავადების გამოვლენამდე 2-6 კვირაა, თუმცა, შეიძლება შეიცავდეს 5 დღემდე და ან 1 წელზე მეტ ხანსაც გასტანოს.

მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაკბენის (დადობრების) ადგილსა და დაზიანების სიმძიმეზე. განსაკუთრებით საშიშია ნაკბენი თავის არეში, ლორწოვან გარსებზე, შორისის მიდამოსა და თითებზე.

ჰიდროფობიის განვითარების პირველი სიმპტომია მალალი ტემპერატურა და ზოგჯერ უსიამოვნო, ტვილის, ჩხვლეტის ან დაბუჟების შეგრძნება დაზიანებულ (ნაკბენ, დადობრილი) ადგილას.

გახსოვდეთ,

ცოფით დაავადებული ადამიანის მკურნალობის სპეციფიკური მეთოდი არ არსებობს და ამ დაავადების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება დროულად დაწყებული და სრულფასოვნად ჩატარებული ცოფის სანაწილმდეგ ღონისძიებებია:

ცხოველისგან დაკბენა-დადობრების შემდეგ ჭრილობის დაუყოვნებლივ დამუშავება, დაბანა საპნითა და გამდინარე წყლით.

დაუყოვნებლივ მიმართვა ექიმთან ცოფის სანაწილმდეგ აცრების ჩასატარებლად!!!

დროულად და ხარისხიანად ჩატარებული ანტირაბიული პროფილაქტიკური მკურნალობის შემთხვევაში შესაძლებელია ამ მომავალში დაავადების თავიდან აცილება!


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, ადამიანებში ცოფთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური და ყველაზე იაფი



კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. წუნა და... 4. გვატემალას დედაქალაქი. 8. მხიარული, ცელქი. 9. ქალაქი დიდ ბრიტანეთში. 10. მითითური მებრძოლი ქალები, იგივე ამორძალები. 11. ლორის ცხვირი. 13. საჭმელი სოკო, ნითელი ფერის მომრგვალო ქუდით და მოყვითალო ფეხით. 15. მარცვლეული კულტურა. 18. მოხრილი ჯოხი, რომელმაც გატყორცნის შემდეგ, თუ მიზანს ვერ მოხვდა, უკან ბრუნდება. 19. შეხედულებათა სისტემა. მოვლენის აღქმა, გაგება. რაიმე სამუშაოს მთავარი, განმსაზღვრელი ჩანაფიქრი, ნამყვანი აზრი. 20. სასუნთქი გზების მწვავე ინფექციური დაავადება, რომელსაც ინვეს ვირუსი. 22. ძველებური იტალიური ოქროს ან ვერცხლის მონეტა. 23. დაპირისპირება, ანუ... 25. სახელმწიფო შუამდინარეთში, რომელიც მდებარეობდა ტიგროსსა და ეფვრატს შორის. 26. პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც მოიცავს განათლების და აღზრდის თეორიას. 27. მექსიკელი მწერალი, პროზაიკოსი, დაიბადა 1918 წელს, სუან ხოსე....

ვერტიკალურად: 1. კურორტი საქართველოში, რომელიც განთქმულია თერმულ-რადონული მინერალური წყლის აბაზანებით. 2. ქარტულ გრამატიკაში მეშვიდე ბრუნვა. 3. საზეიმო სვლა. 4. უნგრელების ტრადიციული და საამაყო ხორციანი კერძი. 5. საყოველთაოდ ცნობილი, გაცვეთილი ჭეშმარიტება. 6. მცენარეული, სურნელოვანი ზეთი, ეკლესიური რიტუალების დროს. 7. მანძილის საზომი ერთეული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. დაახლოებით უდრის 5,7- 6,7 კილომეტრს. 12. შიში ქალების მიმართ. 14. თანდათანობით გაუარესება, ვარდნა, უკან სვლა. 16. შედეგის დედაქალაქი. 17. ციხესიმაგრე მესხეთში, იგივე ყულალისი. 18. ბულგარელი პოეტი ქალი, ნამდვილი გვარი ბელჩევა (1893-1993 წ.წ) ელისავეტა... 21. თხელი, სიფრიფანა კანი რისაზე. 24. საფუძველი, საყრდენი.



გასწორება

გაზეთ "შირაქის" №36 ნომერში დაბეჭდილ ზემო ქედის საჯარო სკოლის აუქციონის განცხადების ტექსტში, რომელიც ეხება ბუფეტის ფუნქციონირებას, უნდა იკითხებოდეს: ფართის თვიური ღირებულება 20 ლარი, დანარჩენი როგორც ტექსტშია.

„დედოფლისწყაროს საათი“

კვირა 17:30

განმეორებითი 00:30

ილია მარტყოფლიშვილი

მოქაზნა „ოზიქვი“

მადლიერება

რამდენიმე წლის წინ ძმა - ანთო ბაბოიანი გამიხდა ავად, სუნთქვა გაუჭირდა და ძალიან დამძიმდა, მის გადარჩენას აღარავინ მოელოდა, მას ფილტვის პრობლემა ჰქონდა. იმ დროს ჩემი ძმა დღევანდელი ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი ირაკლი შიოლაშვილის მეზობლად მდგმურად ცხოვრობდა. ირაკლის ოჯახმა და მისმა დედამ, ქალბატონმა მარინე ლვინაშვილმა არამარტო საუკეთესო მეზობლობა გაუწიეს ჩემს ძმას, არამედ მისი ჯანმრთელობის და სიცოცხლის სადარჯოზეც დადგნენ. როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაიგეს, გვერდიდან არ მოსცილდნენ და ბოლომდე უერთგულეს ჩემს ავადმყოფ ძმას. უნდა ვაღიარო, მე, მისი დაც კი ვერ ვაქცევდი ისეთ ყურადღებას, როგორც ქალბატონმა მარინემ გამოიჩინა მის მიმართ. დღეს ხმამაღლა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემძლია ვთქვა, რომ სწორედ ქალბატონი მარინეს უაღრესად დიდი ადამიანობის და მისი მაღალი პროფესიონალიზმის დამსახურებაა, რომ ძმა ცოცხალი, ჯანმრთელი და უვნებელი მყავს. როგორც ექიმმა, მარინე ლვინაშვილმა გამოიჩინა დიდი გულისხმიერება და თავად, საკუთარი სახსრებით ნაიყვანა ჩემი ძმა რენტგენზე, სადაც აღმოჩნდა, რომ ცალი ფილტი მთლიანად შავად მოჩანდა. ექიმების დასკვნით გაირკვა, რომ გადაუდებელი ოპერაცია იყო საჭირო, რომელსაც საკმაოდ სოლიდური თანხა სჭირდებოდა. თბილისამდე გამოგყვანა მთელი ოჯახი, თავად მარინემ და მისმა შვილებმა, ირაკლი და ზურაბ შიოლაშვილებმა, არ მიგვატოვეს, ირაკლი სამინისტროდან ყოველ დღე, შესვენებებზე მოდიოდა და ორჯერ 250 ლარი დაგვიტოვა, რომ საჭმელი გვეჭამა. მარინე ექიმი კი, ოპერაციამდე და ოპერაციის შემდგომაც რაიონიდან დიდი სანოვაგით ჩამოვიდა და კიდევ ერთხელ ნახა ავადმყოფი. მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც ოპერაციის შემდგომი კვლევებისთვის იყო საჭირო, მათვე დამაკვლიანეს იმისთვის, რომ ჩემი ძმის ძვირადღირებული ოპერაცია დაფინანსებულიყო მთავრობის მიერ. ძალიან ვნანობ, რომ მაღლობას მოგვიანებით ვიხვდი. მაღლობა შიოლაშვილების უაღრესად კეთილშობილ და სიკეთით აღსავსე ოჯახს. ჩემი ძმა, ანთო ბაბოიანი, მათი გადარჩენილია და ამისთვის მათ უფალი გადაუხდით სიკეთეს. მას შემდეგ ვთვლი და არც ვცდები, რომ ეს ოჯახი არის და დარჩება ცხოვრებაში ჩვენი ოჯახის ყველაზე დიდ გულშემატკივრად და გვერდში მდგომლად, რადგან ამაზე დიდი სიკეთე ჩვენი არავის გაუკეთებია, სიკვდილის პირას მდგომ ადამიანს რწმენა ჩაუნერგეს და სიცოცხლე დაუბრუნეს! იმ დიდი გვერდში დგომისთვის, იმ სიკეთისთვის ღმერთმა დალოცოს ირაკლი შიოლაშვილი, ზურაბ შიოლაშვილი და მათი დედა-მარინე ლვინაშვილი. ღმერთმა სიკეთე და კეთილისმსურველი ხალხი არ მოაკლოს ამ ოჯახს!

პატივისცემით, ციკლა ბაბოიანი.

ულოცავენ!

ირაკლი მარტყოფლიშვილს!

თაქუნა ოჯახითაშვილს!

გილოცავთ ქორწინებას, გისურვებთ ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს და აკვანთა სიმრავლე დაგებდებოდეთ, მრავალშვილიერ!

გვინდა, ასე ლამაზად და ბედნიერად შეაბრდეთ ერთმანეთს. იხარეთ და იმრავლეთ!..

პატივისცემით,
ილია, შალვა, შოთიკო, ლევანი და თაკო, გიორგი და იულია მარტყოფლიშვილები

იყიდება!

იყიდება ოროთახიანი სუფთა ბინა ლოჯით და სარდაფით. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, შერეთის ქუჩა N 80, კორპუსი N49, მე-2 სართული. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე:

☎ 598 93 97 40

იუმორი

სვანი და მეგრული უყურებენ ფილმს, ასეთი სცენაა, კაცი უნდა გადმოხტეს სახურავიდან, მეგრული იტყვის:

- მოდი დავნიძლავდეთ რო გადმოხტება

- კაი დავნიძლავდეთ. კაცი გადმოხტება. სვანმა ნააგო, მეგრული ეუბნება: ეს კინო ნანახი მქონდა და ვიცოდი რო გადმოხტებოდაო

- მეც მქონდა ნანახი მარა არ მეგონა მეორედაც თუ გარისკავდაო

სვანი შევა ბიბლიოთეკაში და ეკითხება ბიბლიოთეკარს:

-ნიგნი "ჭკვიანი სვანი" გაქვით

-ფანტასტიკების განყოფილება მეორე სართულზეა

განცხადება: შევიძინე თხილს განმცხადებლები: ცხრა ძმა

ბავშვმა არ იცის გაკვეთილი და მასწავლებელი ეკითხება:

- რა მოხდა, შვილო, რატომ ვერ ისწავლე?

- მშობლები ჩხუბობდნენ, ხმაური იყო და ვერ ვისწავლე

- დედაშენს ვიცნობ, კარგი ქალია და მამაშენი ვინაა?

- მამაზე ჩხუბობდნენ...

ამინდი

ორშაბათი 30.09 დღე 15°	სამშაბათი 01.10 ღამე 12°	ოთხშაბათი 02.10 დღე 11°	ხუთშაბათი 03.10 ღამე 10°	პარასკევი 04.10 დღე 12°	შაბათი 05.10 ღამე 11°	კვირა 06.10 დღე 18°	ღამე 17°	პარასკევი 04.10 დღე 19°	ღამე 15°	შაბათი 05.10 დღე 17°	ღამე 14°	კვირა 06.10 დღე 14°	ღამე 10°
-------------------------------------	---------------------------------------	--------------------------------------	---------------------------------------	--------------------------------------	------------------------------------	----------------------------------	--------------------	--------------------------------------	--------------------	-----------------------------------	--------------------	----------------------------------	--------------------

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: **ლალი მხრინიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი** (ჟურნალისტები); **ელზა ხარაშვილი** (სტილისტ-მწერელი); **ნათია გოსტაშვილი** (ბუღალტერი); **ნინო ჯანაშვილი** (ფოტო-მწერელი); **მზინა ქანდაძე** (დისტრიბუტორი); **ზურაბ გუნაშვილი** (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ პაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.